პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 11 (183) | ოთხშაბათი, 27 მარტი, 1957 წ. გამოცემის მეექვსე წელი | ფასი 20 კაპ.

მოვემზადოთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელმა დადგენილებებმა უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირფესვიანად გაუმჯობესების შესახებ ახალი, მეტად პასუხსაგები ამოცანები დასახეს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივის წინაშე.

ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახლებურად უნდა წარიმართოს და ნაწილობრივ წარმართა კიდეც თავისი მუშაობა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ სტუდენტობაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩვევების გამომუშავება, სტუდენტთა მეცნიერული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების საქმიანობის შემოქმედებითად წარმართვა ამავე დროს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე დაყენების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა იქნება.

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას, რომელიც 44 სამეცნიერო წრეს აერთიანებს და თავის რიგებში 1200-მდე სტუდენტს ითვლის, მუშაობის კარგი ტრადიციები აქვს.

დღიდან აღნიშნული საზოგადოების შექმნისა დღემდე ჩატარებულია 18 სამეცნიერო კონფერენცია, რომლებზედაც წაკითხული საუკეთესო მოხსენებები იბეჭდება „სტუდენტთა სამეცნიერო კრებულში". გამოსულია ასეთი კრებულის 7 ტომი და გამოსაცემად მზადდება მერვე.

ჩვენი სტუდენტების შრომები თავისი მაღალი ხარისხით ხშირად არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საკავშირო და მსოფლიო სამეცნიერო წრეების მოწონებასაც იმსახურებენ. აღსანიშნავია ამ მხრივ ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტის გ. ქაჯაიასა და ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულის გ. კვინიხიძის შრომები. პირველი მათგანის შრომებმა მცენარეთა მავნებლების შესახებ, როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, ჩეხეთის უნივერსიტეტის პროფესორის შაზო ეპარას აღფრთოვანებული წერილი გამოიწვია, ხოლო გ. კვინიხიძის შრომა ჰისტოლოგიაში საკავშირო კონფერენციაზე იქნა გატანილი.

ყურადსაღებია ისიც, რომ რიგი პირველხარისხოვანი ახალგაზრდა მეცნიერებისა მეცნიერულ ნათლობას სწორედ სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში იღებდნენ, ხოლო უნივერსიტეტის ასპირანტურის დაკომპლექტებაც ძირითადად იმ კონტინგენტის ბაზაზე წარმოებდა, რომელმაც მეცნიერული მუშაობის კარგი ჩვევები სწორედ სამეცნიერო წრეებში გამოიმუშავა.

მაგრამ ამ კარგმა შედეგებმა არ უნდა დაგვავიწყოს ის ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნია ჩვენს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას, მის ორგანიზაციას. ზოგიერთი კათედრა, შეიძლება ითქვას, ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენს წრეების ხელმძღვანელობისადმი და მხოლოდ „პასუხისმგებელი ხელმძღვანელის" გამოყოფით კმაყოფილდება, აღარ უწევს წრეს შემდგომ ხელმძღვანელობასა და კონტროლს. ამას ხშირად სამეცნიერო თემების არასწორ დაგეგმვამდე ან იმ ფაქტამდე მივყავართ, რომ ამა თუ იმ წრის სხდომას ხშირად თვით ხელმძღვანელიც არ ესწრება. სწორედ ამის შედეგია, რომ წრის წევრები ხშირად აცდენენ მეცადინეობას, ასევე, არც თუ მაინცდამაინც სახარბიელოა დისციპლინა თვით სხდომების მსვლელობის დროს.

რაც მთავარია, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელმა, აგრეთვე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მთელმა კოლექტივმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა ნამდვილად მეცნიერული შრომების გამოტანა მომავალ სამეცნიერო კონფერენციაზე. საქმე იმაშია, რომ ხშირად, გამოტანილი მოხსენებები, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა განხრით, არ შეიცავენ კვლევით ელემენტებს და მხოლოდ კომპილატურ, რეფერატულ მოხსენებებს წარმოადგენენ. ეს კი წინაპირობაა იმ მოვლენისა, რომელსაც ჩვენ ხშირად ვხედავთ ჩვენს სამეცნიერო კონფერენციებზე — ასეთი მოხსენების გარშემო არავითარი კამათი არ იმართება და ეს ბუნებრივიცაა...

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ კავშირი უნდა გააძლიეროს მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამის საზოგადოებებთან. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. მით უმეტეს, რომ ჩვენს საზოგადოებას ასეთი კავშირ-ურთიერთობის კარგი ტრადიციები გააჩნია.

სტუდენტთა მორიგ სამეცნიერო კონფერენციამდე ცოტა დრო დარჩა. უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ კონფერენციაზე უკეთესი შედეგებით წარდგნენ, ვიდრე გასულ წელს.

ყასბოლათ ყოსათი ცაგოევი

საქართველოს

იქნებ ლურჯი ცით, ლურჯი ზღვისპირით,
და ლურჯი მთებით არის მდიდარი...
არა! ეგ ვაზი და ეგ ნარინჯი
თვალის წარმტაცი, ვიცი, რით არი!

იქნებ მტკვრის ტალღა წკრიალებს ვერცხლად
და თეთრი ნისლიც ფიქრია დილის, —
არა! მთაწმინდა ჩაფიქრებული
გულთა მხილავად დაჰყურებს თბილისს.

იქნებ ეგ ღვინო სისხლია მიწის
და მეც ამ სისხლმა გამახალისა, —
მხიბლავს ჩონგურის ფრთხილი წკრიალი
და სინარნარე ქართველ ქალისა.

არა, წარსულიც ბრძოლით გავლილი
დიდი მომავლის შუქით ივსება, —
დგას მეგობრობა და სიყვარული —
ვეფხის-ტყაოსნის გმირთა თვისება!

ო, საქართველოვ! სიმაღლე შენი
ოცნების თვალით ვიხილო მინდა,
ის არი ჩემი აღფრთოვანების
და სიყვარულის ვარსკვლავი წმინდა!

ო, საქართველოვ, ჩაგვითვალე ოსევ
შენი ბრწყინვალე კარის მგოსნებად!
ბავშვობიდანვე შენ გვეგულები
ჩვენდა სიცოცხლედ, ჩვენდა ოცნებად.

ვით გაზაფხული შენი მთებისა
ჩვენც სიხარულით შევიმოსებით!
თავისუფლების სინათლით ვხარობთ
ლიახვის პირად მდგარი ოსები.

ოსურიდან თარგმნა კარლო კალაძემ

მეგობრობის საღამო

დამოუკიდებლობისა, მშვიდობისა და უკეთესი მერმისისათვის ერთობლივმა ბრძოლამ გამოჭედა და განამტკიცა ოსი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობა. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდ აღმავლობას მიაღწია ოსურმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ამის ნათელი დადასტურება იყო ამ დღეებში თბილისში გამართული სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

დეკადამ ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენა ოსი ლიტერატორებისა და ხელოვნების მუშაკების განუზომელი შემოქმედებითი წინსვლა. ლიტერატურისა და ხელოვნების უფროსი თაობის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად დეკადაში მონაწილეობდა სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედი კოლექტივიც.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა სიხარულით მიიღეს ოსი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რჩეული წარმომადგენლები. მათი შეხვედრა იყო არა მარტო ერთმანეთის თვითმოქმედების წარმატებათა ჩვენება, არამედ საქმიანი და უფრო მჭიდრო მეგობრობის დასაწყისი. სტალინირელმა სტუდენტებმა ინტერესით დაათვალიერეს უნივერსიტეტი, გაეცნენ ჩვენი სტუდენტების საქმიანობას. სტუმრებიდან ყველა თავისებურ ინტერესს იჩენდა: ზოგს თვითშემოქმედების კოლექტივის მუშაობა აინტერესებდა, ზოგს კომკავშირული, ზოგს ფიზკულტურული...

სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. ქოქოევი თავის უნივერსიტეტელ კოლეგებთან საუბრით იყო გართული, ლ. გუსოვი ფილოლოგიის ფაკულტეტის კედლის გაზეთების მუშაობას ეცნობოდა: იქნებ რამე ჟურნალისტური სიახლე შეეტანა სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტში დასანერგად. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კომკავშირული ბიუროს მდივანი ზ. ჯიოევი უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის კომკავშირულ მუშაობაზე გვეკითხებოდა.

მეგობრობის საღამოზე სტუმრებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით მიესალმა აკადემიკოსი გ. ახვლედიანი: გულითადი სალამი, ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო, სასიამოვნო სტუმრებო! მოგესალმებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი შემადგენლობა — პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტობის სახით. გულითად სალამს ვუძღვნით სამხრეთ ოსეთის მშრომელებს, ნიჭიერ ოს ხალხს, რომლის ღირსეული შვილებიც თქვენა ხართ.

აღფრთოვანებით მოისმინეს ოსმა მეგობრებმა ღვაწლმოსილი მეცნიერის ეს თბილი სიტყვები, რომელიც მან ოსურ ენაზე წარმოთქვა.

გულთბილი სიტყვით გამოვიდა სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ზ. ჯიოევი, რომელმაც ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთა დიდ დამსახურებას ოსი ხალხის შვილების მეცნიერულ წრთობაში. მან პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით მოიხსენია გამოჩენილი აკადემიკოსები: გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, ვიქტორ კუპრაძე, აკაკი შანიძე და სხვ.

აღელვებას ვერ ფარავდა ჩრდილო-ოსეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მ. ცაგარაევი. მან თქვა, რომ ვიმყოფებით რა საქართველოს დედაქალაქში, თავს ვგრძნობ ძველ მეგობართა წრეში. თუმცა აქ ლაპარაკობენ ქართულ ენაზე, მაგრამ იგი ჩვენც მშობლიურივით გვესმის. დღევანდელი დღესასწაული არ არის დღესასწაული მარტო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა, არამედ მას თვალს ადევნებს და საკუთარი ლიტერატურისა და ხელოვნების გამოცდასავით უცქერის ჩრდილოეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებიც. ეს დეკადა მით უფრო სასიხარულოა, რომ იგი ქართველი ამხანაგების ინიციატივით პირველად ეწყობა თბილისში.

უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით სტუმრებს მიესალმა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი შ. რატიანი. როგორც მის გამოსვლაში, ასევე სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის IV კურსის სტუდენტის ზემფირა ბეკოევას სიტყვაში გამოხატული იყო ურთიერთთანამშრომლობისა და შემოქმედებითი მეგობრობის სურვილები.

როგორც სტუმარი და ამავე დროს მასპინძელიც საკუთარი ლექსით გამოვიდა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსის სტუდენტი, დეკადის მონაწილე ახალგაზრდა პოეტი გ. ბესტაევი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ოსი მწერლები და პოეტები, მათი ქართველი მთარგმნელები — რ. ასაევი, კ. კალაძე, გ. ძუგაევი, ზ. პლიევი, გ. კალანდაძე, ნ. ჯუსოევი, ალ. გელაშვილი, გ. კოტეტიშვილი, თ. ჯანგულაშვილი და სხვები, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ახალი პოეტური ნაწარმოებები.

სტალინირის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა უნივერსიტელ მეგობრებს უჩვენა თავიანთი თვითმოქმედი კოლექტივის წარმატებები. გუნდმა წარმოადგინა კარგად დამუშავებული ქართული, ოსური და რუსული საგუნდო სიმღერები. განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა ლ. გონჯილაშვილის მიერ ფანდურზე შესრულებულმა „მწყემსურმა".

მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა, რომელმაც შეასრულა ოსური ხალხური ცეკვები.

კარგი ვოკალური მონაცემები გამოამჟღავნეს სოლისტებმა ჯიოევმა და ჯაფარიძემ.

კონცერტის მე-2 განყოფილება უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივის გამოსვლამ დაიჭირა. სტუდენტებმა თავიანთი საუკეთესო ნომრებით სტუმრების აღფრთოვანება გამოიწვიეს.

ვ. კასრაძე,
ჯ. ბუკისციხელი

ყურადღება!

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობის I ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, რომ საკონკურსო მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებების, სახვითი ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების, მხატვრული ფოტოგრაფიის ნახალების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია მიმდინარე წლის 5 აპრილამდე.

თ. ს. უ. სტუდენტ-ახალგაზრდობის I ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი.

ქ. სტალინირი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების სახლი



ლიტერატურული კუთხე

ოსი პოეტები

ნაფი ჯუსოითი

დედაშენი

დედაშენიც ალბათ
იტირებდა მაშინ,
დაგწყევლიდა:
„შვილო, დაგიბნელდეს მზე...“
ვინ ხარობდა ქალის
დაბადებას მთაში,
ყურს დაკლავდნენ
თუ კი გაჩნდებოდა ძე
და ოხეთის წინზე
იდარდებდა დედა.
სანუგეში სიტყვას
არც ეტყოდა ხმა;
რა იცოდა თუ კი
დაებადა ბედილ,
მთაგონების წყარო
და იმედის ზღვა.
ოჰ, ნეტავი ვნახე
მე იმისი ღირსი,
დედაშენმა, ძვირფასო,
რომ მადლობა თქვას:
დაკარგული ცრემლები
რომ ვიპოვე მისი,
სიხარულით უკან
დავუბრუნე მას...

თარგმნა გ. ბესტაევმა

რევაზ ასათი

მოჩვენება

ალუბალი ჩვავს ადრას,
ნიავიც მის რტოს გაშლის
და მერყევნებს. ცეკვით
გოგო მოვიდა ბაღში.
მზემ სხივი სტყორცნა რტოებს,
ჩრდილი დაიჩნდა ქვიშას,
ამ ჩრდილს ვამსგავსებ ხელებს,
რომ ქარგავს ტრფობის ნიშანს.
მზე ჩადის, მთვარე ნელა
წავიდა. მე კი დავდნი,
არ მოდის... ალუბალი
მაგონებს სატრფოს მანდილს.

თარგმნა ჰ. გურგენიძემ

ჩვენი სტუდენტების შემოქმედება

ნ. გაბრიჩიძე

ბაბუა

ბავშვის ნაბიჯით გაუბედავით
წახვალ, ვენახის ცქერით დათვრები.
ხომ არ გგონია ბაბუ ნეტავი,
არ გიგონებ და არ მენატრები.
გულდამძიმებულს და წელში მოხრილს,
თუ გეჩვენება ყველგან ქურდები;
ვაი, თუ სადმე დაკარგე ჯოხი
და ახლა სახლში ვეღარ ბრუნდები.
ვაი, თუ ვეღარ ერევი ნიავს,
სევდა გკლავს შვილთა ამბის არცოდნის;
თუ გსურდა ჩემთვის პირველი ია,
დაიხარე და... ვეღარ გასწორდი.
იქნება უკვე არც გიხარია.
ჩემზე ზრუნვა და ფიქრი ამდენი,
იქნებ ეზოში სხვისი ხარია,
მოინდომე და ვერ გადადენე...
ნელა დახვალ და ეურდნობი ბამბუკს,
(ჯერ არ მყვავიან ჩვენი ვარდები)
ხომ არ იფიქრებ, ძვირფასო ბაბუ,
რომ არ გეძებ და არ მენატრები.

მეც წავედი

ადრე იყო. მზე არ ენთო,
ვიღაც ჰკრიდა შინდის სახრეს,
ფერმის ხილოხს ვაგროვებთო,
გოგოებმა გადმომძახეს.
გოგოებმა გადმომძახეს
და მათ აღარ ჩამოვშორდი.
...ბიჭი ჰკრიდა შინდის სახრეს
ჩვენს საქარში ამოშოლტილს.

ერთად

შენ არ იქნები აქ მოწყენილი,
არ იტყვი სოფლად რატომ დავრჩით,
რამდენი ვაშლი ჩამოცვენილა,
მომეხმარე და ერთად დავკრიფოთ.
მზე თითქოს დიდი კოშკია კენტი,
ჩვენ ლამაზ ეზოს თავზე ადგება.
დაკრიფე ვაშლი გავფინოთ ჩელტით,
ხნის შევუნახოთ ვაშლის ნათლები.
მამიდა სადაც გადაუხმიათ.
არ მოდის... ხუმრობ თვითონ გაგიწყობ;
ნუ დამიძრახავ ოდას მუხრიანს,
თუ თბილისურად ვერ გიმასპინძლო.

გაზაფხული

გაქცეულ ტალღებს ვიღაც აქანებს,
წყალია ლოდთან შენაჭიდები...
. . . .
ტყეს მოუტანა დილამ საკაზე,
და მოუყვანა ჭრელი ჩიტები.

არ დამიჯერო

თუმცა მთელი დღე წვიმდა,
ხევდას ჩაუქროლავ ქვით.
მე შენთან აღარ მინდა
(ცინალამ „მინდა“ ვთქვი.)
გული შენთვის არ ავდრობს,
შენც გამირბიხარ ხომ...
იცოდე, აღარ გნატრობ;
(არ დამიჯერო, გთხოვ).

იმერული მოდიშები

ცოლი მოვა მასპინძლის,
კარგი ხუმრის გაშლა იცის.
„შემოიტანს მაყვლის წვენით
ორკეცს შუა შემწვარ წიწილს.

ღვინო აქვს და წყალზე მეტი,
იცის, ყველა ღვინოს რომ ჯობს;
არ ათრობსო, მაინც გეტყვის,
და მოგართმევს მჟავე ჯონჯოლს.

ბარაქა აქვს სხვაზე მეტი,
და მეუღლე ყველას უჯობს;
არ მომწონსო, მაინც გეტყვის,
რომ ღიმილით იოხუნჯოს.

ცუდი ვართო, გეტყვის თვითონ,
თუმც არა ჰყავს მოქიშპენი.
— გასიამეთ ვერაფრითო,
გაგაცილებს ბოდიშებით.

სახელოვანი მეცნიერი

★

(10 წელი პ. მელიქიშვილის გარდაცვალებიდან)

★

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი პირველი რექტორი — მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ქიმიკოსი პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილი გარდაიცვალა ქ. თბილისში 1937 წლის 23 მარტს. მეცნიერებისათვის და ხალხისათვის ეს იყო მძიმე დანაკლისი. პ. მელიქიშვილის ცხოვრება ეს იყო შეუნელებელი, თავდადებული და უმწიკვლო სამსახური მეცნიერებისა და ხალხისადმი.

პ. მელიქიშვილის წინაპრები XVI საუკუნეში გამაჰმადიანებას გამოქცევიან და აჭარიდან ახალციხეში გადმოსულან. ხოლო, შემდეგში პეტრეს მშობლებს საცხოვრებლად თბილისი აურჩევიათ და სოლოლაკში დასახლებულან, სადაც 1850 წელს პეტრე დაიბადა.

პეტრე მელიქიშვილმა საშუალო განათლება თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მიიღო, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1868 წელს. უმაღლესი განათლება პეტრემ ქ. ოდესაში ნოვოროსიის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც ფიზიკა-მათემატიკის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შევიდა. აქ იმ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ნ. სოკოლოვსკი, ლ. ცენკოვსკი, ი. სეჩენოვი, ა. კოვალევსკი, ი. მეჩნიკოვი და სხვები. ამავე ფაკულტეტის უფროს კურსზე სწავლობდა მეორე მომავალი ქართველი მეცნიერი ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილი, რომელთანაც იმთავითვე მეგობრობდა პეტრე მელიქიშვილი.

პ. მელიქიშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იპყრობს მისი მასწავლებლის პროფ. ა. ვერიგოს ყურადღებას და ებმება სამეცნიერო კვლევით მუშაობაში. ა. ვერიგოსთან ერთად იგი იკვლევს საკითხს იზომერიის შესახებ და 1873 წელს ორ შრომას აქვეყნებს.

1872 წელს პეტრე მელიქიშვილი ამთავრებს უნივერსიტეტს და ჩამოდის თბილისში, სადაც მასწავლებლად იწყებს მუშაობას. ერთი წლის შემდეგ იგი ჯერ ოდესაში და შემდეგ საზღვარგარეთ მიემგზავრება. აქ იგი ორი წლის განმავლობაში ეცნობოდა იმ დროის გამოჩენილ მეცნიერთა მუშაობას.

1876 წელს ოდესაში დაბრუნებისას მას ირჩევენ ლაბორანტად, სადაც იგი აქვეყნებს ორ შრომას ფიზიკური ქიმიის საკითხებზე. ამ დროიდან იწყება პ. მელიქიშვილის დამოუკიდებელი მეცნიერული მოღვაწეობა. იგი ინტენსიურად მუშაობს და ემზადება სამაგისტრო გამოცდებისათვის, 1878 წელს აბარებს მას და 1881 წელს იცავს სამაგისტრო დისერტაციას თემაზე: „აკრილის მჟავის ნაწარმთა შესახებ“.

1882 წელს პეტრე მელიქიშვილი პარიზსა და მიუნხენში მიემგზავრება მეცნიერულ მივლინებაში. იქიდან დაბრუნებისას 1884 წელს მას ირჩევენ აგრონომიული ქიმიის კათედრის დოცენტად. 1885 წელს პეტრე მელიქიშვილი ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „იზომერული კროტონ-მჟავების ნაწარმთა შესახებ“. ამის შემდეგ იგი ინიშნება აგრონომიული დარგის ექსტრაორდინალურ პროფესორად, ხოლო 1889 წელს კი წმინდა ქიმიის კათედრაზე კითხულობს ლექციებს როგორც პროფესორი. 12 წლის მანძილზე დაუღალავი მეცნიერული მუშაობის შედეგად პეტრე მელიქიშვილმა 30-მდე შრომა გამოაქვეყნა, რითაც ძვირფასი მასალა შესძინა ორგანულ ქიმიას. ამ გამოკვლევებში ცენტრალური ადგილი დაიჭირა ორგანულ ნაერთა აღნაგობის დიდმნიშვნელოვანმა საკითხებმა. ასეთი იყო ქიმიის აღნაგობის თეორია, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი რუსი მეცნიერი ა. მ. ბუტლეროვი. პ. მელიქიშვილი მხურვალედ ეხმაურება ახლად წარმოშობილ მეცნიერულ იდეებს, ებმება მათ დამუშავებაში და თავისი გამოკვლევებით ნიადაგს უქმნის აღნაგობის თეორიის შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას. ამ მხრივ დიდ შენაძენს წარმოადგენდა მისი სადოქტორო დისერტაცია.

პ. მელიქიშვილმა ზოგიერთი ნაერთის სინთეზით ბევრად გაუსწრო ამ საკითხებზე მომუშავე უცხოელ მეცნიერებს, რითაც მაღლა აწია ოდესის უნივერსიტეტის პრესტიჟი და გამოჩენილი მეცნიერის სახელი მოიხვეჭა. ქიმიის მეცნიერებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია პ. მელიქიშვილის შესანიშნავი გამოკვლევები არაორგანული ქიმიის დარგში, (1887-1913 წწ.). ამ საკითხების დამუშავებაში მან ჩაება თავისი მოწაფე, შემდეგში აკადემიკოსი, ლ. პისარჟევსკი. ეს მეცნიერული შემოქმედება წარმოადგენდა სამაგალითო კლასიკურ ნაშრომს, რომელიც ძირითადად ეხებოდა ზეჟანგების და ზემჟავების შესწავლას. აღნიშნული გამოკვლევებით პ. მელიქიშვილმა გადაჭრა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომელიც ეხება მეტალთა ზეჟანგის მონაწილეობას ორმაგი დაშლის რეაქციებში და მათ უნარს—მსგავსად ებრალო მეტალებისა წარმოშვან მარილები მჟავებთან ურთიერთქმედებით. ამ ციკლიდან დიდი მნიშვნელობის აღმოჩენად ითვლებოდა აგრეთვე პ. მელიქიშვილის მიერ ამონიუმის ზეჟანგის არსებობის წინასწარმეტყველება და შემდეგში მისი მიღება. ამ აღმოჩენამ ქიმიის საზოგადოებაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. იმ მრავალი მისალოცი წერილიდან, რომელსაც ამის გამო პ. მელიქიშვილი იღებდა, ყველაზე დიდ ჯილდოს წარმოადგენდა მისთვის მაღალი შეფასება, რომელიც მან მიიღო ელემენტთა პერიოდული სისტემის ავტორის — დ. ი. მენდელეევისაგან. დ. ი. მენდელეევმა პ. მელიქიშვილს პერიოდული სისტემის განმამტკიცებელი უწოდა, რაც აღნიშნა დ. ი. მენდელეევის „ქიმიის საფუძვლებში“.



პ. მელიქიშვილის მეცნიერული შემოქმედება, წარმოებული ორგანული და არაორგანული ქიმიის დარგში, ემსახურება ისეთი პრობლემების შესწავლას, რომლებმაც ხელი შეუწყეს თეორიული მნიშვნელობის საკითხთა გადაჭრას. მაგრამ, ეს უფლებას არ გვაძლევს პ. მელიქიშვილი ვაღიაროთ მხოლოდ თეორეტიკოს-მეცნიერად. მის მდიდარ და მრავალმხრივ შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ მასალებსაც, რომლებიც მიძღვნილია პრაქტიკული ღირებულების მქონე საკითხების შესწავლისადმი. ასეთებია კერძოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ქიმიური ბუნების გამოკვლევა და მასზე ბუნების გარეშე ფაქტორთა გავლენა.

პ. მელიქიშვილი ჯერ კიდევ ოდესაში ყოფნის დროს პეტრიაშვილთან ერთად ამუშავებს სოფლის მეურნეობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხს, და მათზე მუშაობას განაგრძობს იგი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც. ამ გამოკვლევების მიზანი იყო შექმნა მეცნიერული საფუძველი სოფლის მეურნეობის წინსვლა-განვითარებისათვის და მის ჯეროვან სიმაღლეზე აყვანისათვის, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დიდი პრობლემების შესწავლასთან ერთად მის ყურადღებას იპყრობდა სხვა საინტერესო საკითხებიც. ასე მაგალითად, იგი სწავლობდა რუსეთის სხვადასხვა ადგილებში ჩამოვარდნილ მეტეორიტებს, მათს ქიმიურ აღნაგობას, ახტალის ვულკანის ამონახეთქ პროდუქტებს, ბუნებაში სოდის წარმოქმნის პირობებს და ბევრ სხვას. მის კალამს ეკუთვნის 100-მდე შრომა.

პ. მელიქიშვილი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ შესანიშნავი პედაგოგიც, საკუთარი სკოლის შემქმნელი. მის მოწაფეთა შორის ვხვდებით ისეთ სახელგანთქმულ მეცნიერებს, როგორიც იყვნენ აკადემიკოსები: ნ. დ. ზელინსკი, ლ. ვ. პისარჟევსკი, ა. ე. ფერსმანი და სხვები.

პ. მელიქიშვილს ძალზე უყვარდა ახალგაზრდობა, იგი მუდამ მზად იყო ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა მისთვის, სტუდენტთა უკეთესი მოამაგე, მეგობარი და მზრუნველი ძნელად თუ მოიძებნებოდა სხვა. ახალგაზრდობაც კარგად გრძნობდა და დიდად აფასებდა ამას.

პეტრე მელიქიშვილი, დიდი გაქანებისა და მასშტაბის მეცნიერი, ამავე დროს დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო. მან რუსეთში დაჰყო თითქმის ნახევარი საუკუნე და იქ მეტად ნაყოფიერ საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. პ. მელიქიშვილი რეაქციის უსახიან წლებში პეტრიაშვილთან ერთად მემარცხენე პროფესორთა პოზიციაზე იდგა და ამ საფუძველზე ბევრი ბრძოლა და უსიამოვნებაც გადაიტანა.

ოდესაში იგი ბუნებისმეტყველების საზოგადოების აქტიური წევრი იყო, შემდეგში მისი ვიცე-პრეზიდენტი. ასევე იგი იყო ვიცე-პრეზიდენტი სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

პ. მელიქიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ოდესაში ქალთა კურსების დაარსებაში, იგი მრავალ წელს ამ კურსებზე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო. იგი იყო მრავალი სამეცნიერო ყრილობისა და ექსპედიციის მონაწილე, სხვადასხვა სამეცნიერო წამოწყებათა ინიციატორი.

1917 წელს იგი საქართველოში ჩამოდის. აქედან მოყოლებული, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე იგი ქიმიის სწავლების საქმეს მეთაურობს საქართველოში ახლად გახსნილ ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

პეტრე მელიქიშვილი აქტიური მონაწილეა ქართულ უნივერსიტეტის დამაარსებელი კომისიისა და შემდეგში პირველი რექტორი — სინამდვილედ ქცეულ მისი საოცნებო ქართული უნივერსიტეტისა. მან აქ შემოიკრიბა სხვადასხვა ქალაქებში გაბნეულ ქართველ მეცნიერთა ძალები და მათთან ერთად პროფ. ი. ჯავახიშვილის დახმარებით, მასთან ხელიხელჩაკიდებული, შეუდგა უმაღლესი განათლებისათვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრას საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა პ. მელიქიშვილის დამსახურება მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე. 1923 წელს უნივერსიტეტში ზეიმით აღინიშნა პ. მელიქიშვილის მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე. 1927 წელს იგი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

პროფ. ნ. ციციშვილი.
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ

უნივერსიტეტის კოლექტივი ღირსეულად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას საკურორტო დედაქალაქის მოედნების გამწვანების შესახებ. 24 მარტს უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის 200-მდე სტუდენტი და თანამშრომელი დილის 9 საათზე გავიდა ქალაქის გარეუბანში ორმოების ამოსათხრელად. აქ იყვნენ ფაკულტეტის ხელმძღვანელი ამხანაგებიც.

დიდი მეგნებით იმუშავა მეოთხეკურსელმა ლევან ბერიშვილმა, რომელმაც დილის 1 საათამდე 16 ორმოს ამოღება მოასწრო. კარგად იმუშავეს სტუდენტებმა გომარელმა, მჭედლიძემ, ტურიევმა, კეკელიშვილმა და სხვებმა. ამ საპატიო საქმეში პირად მაგალითს აძლევდნენ სტუდენტებს დოც. ... სტუდენ-

ტებს მ. ცახელიოლი და გ. გამცემლიძეკარგი მუშაობით გამოირჩეოდნენ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი ქალები — გრეული, ჩახვაძე, იგმაილიანი, ... და სხვ.

განსაკუთრებით მისასალმებელი იყო ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების ... დოცენტის და ... მუყაითი მუშაობა, რომლებიც ... არ წყვეტენ ფაკულტეტთან და აქტიურად მონაწილეობენ მის ყველა ღონისძიებაში.

დღეს 1 საათზე ფიზიკოსები გეოგრაფია-გეოლოგიისა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების კოლექტივებმა შეცვალეს. სტუდენტებმა აზიკაშვილმა, ხითარიშვმა, მეუნარგიამ (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი), შველიძემ და წიკლაურმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი) დღის 3 საათისათვის 8-8 ორმო ამოიღეს. მათ არც სტუდენტები — კაკელია, შონია, გორჯილაძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.) ოქროჯანაშვილი, ჯაში და ცხვარაძე — გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.) ჩამორჩნენ. თავდადებულად იმუშავეს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასპირანტებმა — კვანტალიანმა, ხესკიევძემ, ქუთათელაძემ, ნადეტვარიძემ, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დოცენტმა სანებლიძემ, ლაბორანტებმა — მამაიაშვილმა და შევარდნაძემ, ასისტენტებმა ქოიავამ და დიდბერიძემ.

სამუშაოდ გასული თითქმის ყველა სტუდენტი თუ თანამშრომელი დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით მუშაობდა. საზოგადოებრივ საქმეში ამ საერთო ენთუზიაზმის ფონზე მხოლოდ გაკვირვებას იმსახურებს ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკის კათედრის ლაბორანტის გ. ღრუბელაშვილის საქციელი: გ. ღრუბელაშვილმა თვითნებურად მიატოვა ფაკულტეტის კოლექტივი და სახლში გამოიპარა...

გაზაფხულის მზიანი დღეები შესანიშნავ პირობებს უქმნის უნივერსიტეტის ახალგაზრდობას ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის. საჭიროა ამ შესაძლებლობის დროულად და ნაყოფიერად გამოყენება.

სურათებზე: ზემოთ (წინა პლანზე) სტუდენტები—ჯ. გოგორელი, ვ. ოკუჯელაშვილი და ტ. ებრალიძე გამწვანებაზე მუშაობის დროს; ქვემოთ: სტუდენტები გ. კუპატაძე და ი. ჭუმბურიძე შესვენებაზე ყვავილების კოლექციას აგროვებენ.

ფოტო **შ. კაკიაშვილისა**

როგორ ხვდებით თქვენ ფესტივალს?

ფილოლოგიის ფაკულტეტს ჰყავს საესტრადო ანსამბლი

საუნივერსიტეტო ფესტივალამდე მეტად უმნიშვნელო დრო დარჩა. ისევე როგორც სხვა ფაკულტეტებზე, ფილოლოგებთანაც შეიმჩნევა ტემპების დაჩქარება საფესტივალო სამზადისში. საბოლოოდ ზუსტდება ფესტივალში მონაწილე სტუდენტთა სიები, უფრო ხშირად და ხარისხიანად ტარდება მომღერალთა გუნდისა და საესტრადო ანსამბლის რეპეტიციები.

ეს საესტრადო ანსამბლი, რომელსაც V კურსის სტუდენტი კ. კვაჭანტირაძე ხელმძღვანელობს, სრულიად ახალგაზრდა კოლექტივია. ამასწინათ ოთხი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა შემოქმედებითს შეხვედრაზე მისი გამოსვლა სამი ნომრით ამოიწურა, რადგან ეს იყო მთელი მისი რეპერტუარი.

ამჟამად ორკესტრი მუშაობს რამდენიმე ახალ სიმღერაზე, რომელთა შორის არის ფაკულტეტის სტუდენტების კ. კვაჭანტირაძისა და ვ. ძიძიგურის ნაწარმოებები.

ორკესტრის შემადგენლობაში 8 კაცია, რომლებიც წარმოადგენენ ფაკულტეტის ხუთივე კურსს. სამაგიეროდ მომღერალთა შორის მეორეკურსელები ჭარბობენ: ესენია: ნ. რადკო, ნ. ბოცვაძე, ლ. თელია, ლ. თოდუა, დ. სიხარულიძე, ნ. ბოლქვაძე, ჯ. დადიანი; მომღერლები — რატიშვილი და ფოფხაძე მეოთხეკურსელები არიან.

ანსამბლის მთელი შემადგენლობა გრძნობს, თუ რამდენ პასუხსაგებია ფაკულტეტის ღირსების დაცვა ისეთ სერიოზულ ღონისძიებაზე, როგორიც ფესტივალია. ეს მართლაც მეტად ძნელი, მაგრამ ულრესად სასახელო საქმეა. მაშ, ვუსურვოთ ანსამბლს წარმატება!

ნ. არევაძე

ისინი უკან ეწევიან მთელ კოლექტივს

მიმდინარე წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობისათვის: ეს ხომ საფესტივალო წელია! რამდენი საინტერესო საფესტივალო ღონისძიება ჩატარდა, რამდენი საზეიმო დღეა წინ!

ამ ღონისძიებაში ჩაბმულია მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, მსოფლიო ფესტივალისათვის გატაცებით ემზადებიან ჩვენი შორეული სახლვარგარეთელი მეგობრები. ჩვენს უნივერსიტეტსაც, როგორც საქართველოს უდიდეს უმაღლეს სასწავლებელს, განზრახული აქვს ფესტივალის დღეებში ახალგაზრდობას წინაშე წარდგეს მრავალფეროვანი და მდიდარი პროგრამით. ჩვენი სტუდენტობის საუკეთესო ნაწილი უდიდესი მონდომებით და ხალისით მონაწილეობს ამ პროგრამის მომზადებაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი ესმის ფესტივალის მნიშვნელობა, ყველას როდი აქვს შეგნებული, რაოდენ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ფესტივალში მონაწილეობა.

დიახ, ასეთი სტუდენტები, ასეთი კომკავშირლები აღმოჩნდნენ ჩვენს რიგებში. ისინი თავისი უდისციპლინობითა და შეუგნებლობით ამუხრუჭებენ საფესტივალო სამზადისის ტემპებს.

ასეთებია სტუდენტები: დ. ბაქლასიანი, თ. კალანდაძე, ი. ჯაფარიძე, ნ. ფცქიალაძე, ლ. მენთეშაშვილი, ც. ჯიხვაძე — ფიზიკის ფაკულტეტიდან; გაგუნიძე, ელიავა — იურიდიული ფაკულტეტიდან; შენგელია, ტურძილაძე — ისტორიის ფაკულტეტიდან; მ. გოცირიძე, ზ. მანტკავა, თ. ცხოვრებაშვილი, პ. მოშიაშვილი, ჯ. პატარიძე, ლ. დუეიძე — ეკონომიური ფაკულტეტიდან; კ. მგალობლიშვილი — ფილოლოგიის ფაკულტეტიდან.

დასახელებული სტუდენტები სისტემატურად აცდენდნენ მომღერალთა გუნდის მეცადინეობას და ამით თითქმის ჩაშლამდე მიჰყავდათ მთელი კოლექტივის მუშაობა.

ამასწინათ კომკავშირის კომიტეტმა იმსჯელა ამ კომკავშირელთა უმსგავსო საქციელის შესახებ და სრულიად სწორად მოიქცა, როდესაც მათ სათანადო სასჯელები დაადო.

კომიტეტმა აგრეთვე რექტორატის წინაშე აღძრა საკითხი რამდენიმე სტუდენტისათვის სტიპენდიის მოხსნის თაობაზე.

რ. გვარამაძე

ჟურნალისტი სტუდენტები მოსკოვში

ჯგუფში ალი სამსონიას შემოსვლა ჩვენთვის ახალი ამბის (რა თქმა უნდა, ერთეულ შემთხვევაში, სენსაციური) ... გულისხმობდა.

... შემოვიდა თუ არა, სიხარულით გაბრწყინებული, ჩვეულებისამებრ თავზე ირივე ხელშემოვლებული ... გამოაცხადა:

— მოსკოვში მივდივართ, მოსკოვში!

— გვეღირსა! — ყვიროდით მივება ... „თავკაცმა" მერი გაბრიაძემ. ... გვეღირსა, როგორც იქნა საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ (რაღაც ძლიერ გვიყვარს მეზუთეკურსელებს ეს ფრაზა!) გადაწყდა საქმე: საწარმოო პრაქტიკა საოლქო გაზეთებში გავიარეთ, ახლა კი საწარმოო ექსკურსიაზეც მივყავართ მოსკოვში.

ჩვენი ნანატრი დღეც დადგა... 10 თებერვალს საღამოს 19 საათსა და 50 წუთამდე თბილისის რკინიგზის ვაგზლის ბაქანზე „მოსკოვ—თბილისის" მატარებლის მე-10 ვაგონის მისადგომები რამდენიმე კვადრატულ მეტრზე სულ გაძეძგილებლებით იყო გარშემორტყმული... როგორც იქნა თავი დავაღწიეთ ამ ... და მატარებელიც დაიძრა.

13-ში, დილით ადრე, უკვე მოსკოვს ... კეთილმოყვრულად გვხვდება ... ვაგზალი.

... „აკლიმატიზაციის" მოუნდა ... ზოგიერთს, შიშით, რომ ყურებს ქუდები და შალის წინდები არ წამოეღოთ, ამათ გამოდგა. შესანიშნავი ... თბილი (ფერად გრილი) ამინდი ... ჩიკვაშვილი, შალვა მირიჯანაშვილი, გურამ გვეშიძე, ედი სიხარულიძე და ზოგიერთი სხვა. ხომ სიხარულით ცას ეწიენ: აქაო და ვიცოდით ასეთი ამინდი დაგვხვდება და სულ უქუდოდ წამოვედითო...

სასტუმროში შევდივართ კოახლდებით... ზოგიერთები ვცდილობით ვითმენთ და უკვე ქალაქის გაცნობას ვიწყებთ. უმეტესობა (ვცარს არ ვასახელებთ!) „პოლოკოლის" ეძლევა.

მე და სამი (იგივე ალი) სტუდენტ... წავედით: მერი გაბრიაძის კვარტეტი და ვანო მჭედლიშვილის ტრიო ორიოდე საათის განმავლობაში უნივერმაღებს ეცნობიან, რათა შემდგომისათვის თადარიგი დროულად დაიჭირონ.

მეორე დღეს მივდივართ „პრავდის" რედაქციისა და პოლიგრაფკომბინატის გასაცნობად. რედაქციის სხდომათა დარბაზში შეგვხვდნენ „პრავდის" პასუხისმგებელი მდივანი და რედკოლეგიის წევრი სერგეი ივანეს ძე სელიუკი და პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე ალ. ზემცოვი. ისინი ორნახევარი საათის განმავლობაში დაწვრილებით გვესაუბრნენ „პრავდის" მრავალფეროვანი და სისხლსავსე ყოველდღიური საქმიანობის შესახებ.

ამხ. ს. სელიუკი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს ჩინეთში მოგზაურობაზე, საიდანაც იგი რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა. ჩვენს ურიცხვ შეკითხვებზე პასუხობს ამხ. ა. ზემცოვი. შემდეგ კი მივდივართ „პრავდის" პოლიგრაფიული კომბინატის დასათვალიერებლად. აქ ახსნა-განმარტებებს გვაძლევს და ჩვენს ცნობისმოყვარეობას ცხოვლად აკმაყოფილებს ინჟინერი ვ. სასკი.

„პრავდის" პოლიგრაფიული გიგანტის, ამ უზარმაზარი გრანდიოზული საგამომცემლო საწარმოს ზერელე გაცნობისთვისაც კი 2-3 დღეა საჭირო. ჩვენ კი 4 საათის განმავლობაში მხოლოდ დაკვირვებით და ისე ვეცნობოდით მოსკოველი პოლიგრაფისტების მუშაობას. თავს იმით ვინუგეშებდით, რომ ჟურნალისტები ვართ (ეს ფრაზაც ძლიერ გვიყვარს!), ყველაფერს სწრაფად ვიჭერთ და შევისწავლით!

„პრავდის" რედაქციისა და პოლიგრაფკომბინატის დათვალიერებისაგან მიღებული შთაბეჭდილებები იუწერელია. ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მშრალ ციფრს მოვიყვანთ:

როგორც ცნობილია გაზ. „პრავდა" — სკკპ ცკ-ის ყოველდღიური ორგანოა, მისი ტირაჟი — 5 მილ. 600 ათასი ცალი (უახლოეს დროში განზრახულია 10-12 მილიონამდე გაზარდოს); თუ როგორ ვრცელდება გაზეთი, ამას მოწმობს ერთი ფაქტი — ხარკოვში მხოლოდ ერთიოდე დღეში ხელისმომწერთა რიცხვმა 80 000-ს გადააჭარბა. მატრიცები — ჩვენი ქვეყნის 17 პუნქტში მიდის და ადგილზე იბეჭდება.

გაზეთს ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია — 13 კაცის შემადგენლობით. ნომრის გამოსაშვებად ყოველდღე ზუსტად დღის 3 საათზე ეწყობა სარედაქციო სხდომები (იმავე დარბაზში, სადაც ჩვენ მიგვიღეს).

„პრავდაში" 20 მინაგანი განყოფილებაა და 4 — უცხოეთისა (ევროპის, აზიის, ამერიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა).

საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას აშუქებს 70 კორესპონდენტი, 26-კი უცხოეთიდან აწვდის მასალებს.

რედაქციის განყოფილებებში გარდა ტექნიკური პერსონალისა 180 ლიტმუშაკია (მარტო წერილების განყოფილებაში — 70 ლიტმუშაკი საქმიანობს). რედაქცია ყოველდღიურად საშუალოდ 1000-1400 წერილს იღებს, ზოგჯერ 2000-საც.

„პრავდის" ი. ბ. სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსან სტამბაში იბეჭდება საბჭოთა კავშირის ცენტრალური პერიოდულ გამოცემათა უმეტესი ნაწილი (80%).

16 თებერვალს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ვეწვიეთ. ისინი ჯერჯერობით უნივერსიტეტის ძველ შენობაში იმყოფებიან მოხოვაიაზე, № 11-ში, ქალაქის ცენტრში, კრემლის კედლებიდან სულ ახლოს. მათს ცხოვრებაზე გვესაუბრება ფაკულტეტის დეკანი, ჟურნალ „სოვეტსკაია პეჩატის" რედკოლეგიის წევრი დოც. ევგენი ლაზარეს ძე ხუდიაკოვი. ჩვენი მოსკოველი კოლეგები გარეგნულად ჩვენგან დიდად არ განსხვავდებიან — ისინიც ახალგაზრდები, ცნობისმოყვარენი, მეგობრული ურთიერთობის მქონენი, მოკლედ რომ ვთქვათ, იმ თვისებისანი არიან, რაც ჟურნალისტებს საერთოდ ახასიათებთ! მაგრამ ძლიერ განსხვავებას დავინახავთ ჩვენს შორის, თუ გავეცნობით ფაკულტეტს, კათედრებსა და, უპირველეს ყოვლისა, იქაურ სასწავლო გეგმას, დიახ, გეგმას!

ეს გეგმა კი სხვათაშორის ასე მეტყველებს:

II კურსის ბოლოს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები მიდიან საწარმოო პრაქტიკაზე ფაბრიკა-ქარხნების გაზეთებში თვენახევრით, III კურსზე — უკვე რაიონულ და საქალაქო გაზეთებს ეცნობიან, IV კურსზე — საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებში „იწრთობიან", V — დამამთავრებელ კურსზე კი პრაქტიკულ „წრთობას" მოსკოვში — ცენტრალური და საეწყებო გაზეთების რედაქციებში ამთავრებენ. როგორც ჩანს, ჩვენ არ გვგვანან.

ჩვენი მოსკოველი კოლეგებისათვის ყოველდღე საგნებს წარმოადგენენ: სტენოგრაფია (100 საათი აქვს დათმობილი), მანქანაზე ბეჭდვა (100 საათი), ფოტორეპორტაჟი (100 საათი), პოლიგრაფიული ტექნოლოგია (68 საათი), რადიოინფორმაცია და სხვები, რომელთა შესახებ ჩვენ საერთოდ წარმოდგენაც არა გვაქვს.

მათ სულ არ გაუვლიათ ენათმეცნიერება, ლოგიკა, თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ისტორია (ძველსლავურ ენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!).

დოც. ე. ხუდიაკოვმა გვითხრა — ძლიერ შევამცირეთ მთელი ლექციური კურსი — როგორც საერთო-მეცნიერული, ისე სპეციალური საგნებისაც — პრაქტიკის სასარგებლოდ, სემინარული მუშაობის ფართოდ გამოყენებისათვის.

საბოლოოდ ამხ. ხუდიაკოვი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს სტრასბურგში გამართული საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომელიც მიეძღვნა ჟურნალისტთა კადრების განათლებისა და მომზადების საკითხებს. კონფერენცია იუნესკოს ინიციატივით იყო მოწვეული.

საკუთარი თვალით ვეცნობით მოსკოველ მეგობართა ცხოვრებას — ვათვალიერებთ მათს სამუშაო კაბინეტებს, სამკითხველო და პერიოდულ გამოცემათა დარბაზებს, სასწავლო-პოლიგრაფიულ ბაზას (ისინი ხომ საკუთარ ბეჭდვით გაზეთს — „ჟურნალისტს" უშვებენ!), ფოტო და რადიო ლაბორატორიებს, სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის კაბინეტებს...

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ბაღი უკეთ მოვლას საჭიროებს



უნივერსიტეტის ბაღში მცენარეთა მრავალი ათეული სახეობაა თავმოყრილი. აქაა ევროპის, აზიის, აფრიკის, ინდონეზიისა და ავსტრალიის ფლორის დამახასიათებელი მცენარეები. ზოგიერთი მათგანი გაჭირვებით ეგუება ზამთრის მკაცრ კლიმატურ პირობებს. თავისებური ხიბლით გამოიყურება კავკასიის სუბალპური ზონის მცენარეები. ეს მცირე ტერიტორია გვევლინება მცენარეთა მდიდარ სამყაროდ.

თბილ დღეებში აქ, ამ ბაღში შეხვდებით ხშირად მოწყურებულ სტუდენტებს, რომლებიც ხეივნების ჩრდილში მეცადინეობენ და თანაც მადლობას უთვლიან ბაღის დაარსების ინიციატორებს. ბევრი სტუმარი მოხიბლულა და დამტკბარა ამ ბაღის მშვენებითა და მრავალფეროვნებით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბაღის სათანადოდ მოვლას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. რეგულარულად არ წარმოებს მცენარეთა ძირების შემობარვა, მცენარეებს ხმელი ტოტები ხელვე შერჩენიათ, არ იგრძნობა ზრუნვა მცენარეთა გახხვლაზე. თვითეულ მცენარეზე გაკეთებული წარწერები, რომელიც გვამცნობდა მცენარის ჯვარს, სახეობასა და გავრცელების სამშობლოს, ჩამოცვივდა და ნაწილი ქანგმაც დაანგრია. ბაღში გახავლელი გაზონები წვიმის ნაკვალევითაა დაღარული იმის გამო, რომ ბაღი შემოღობილი არაა, ხეირნობის მოყვარულნი თავისუფლად დადიან მასში და არ იცავენ სიარულის წესებს, ამის გამო ახლად დარგული მცენარეები ზიანდება.

იმ დროს, როცა ჩვენი კოლექტივი თბილისის მიდამოების გამწვანებაზე ზრუნავს, (და ეს მისასალმებელია!) ნუთუ აღარ უნდა გვახსოვდეს საკუთარი ბაღი.

ზ. მაღრაძე.
ბიოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

კათედრის საჯარო სხდომაზე

მიმდინარე წლის 20 მარტს ორი ათასი წელი შესრულდა დიდი რომაელი პოეტის — პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის დაბადებიდან. ამ თარიღს მიეძღვნა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის საჯარო სხდომა, რომელიც 22 მარტს შედგა. სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ კათედრის წევრები, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა, მოისმინა სამი მოხსენება: პროფ. პ. ბერაძისა — „ოვიდიუსის ცხოვრება და შემოქმედება", დოც. ნ. კეჭაღმაძისა — „ოვიდიუსის ცნობები საქართველოს შესახებ" და ლ. კანკავასი — „თქმულება ჰეროსა და ლეანდროზე ოვიდიუსის ჰეროიდებში".

პროფ. პ. ბერაძემ დამსწრეთ გააცნო ოვიდიუს ნაზონის ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების დიდი გზა. მან ახლებურად გააშუქა ოვიდიუსის პოეზიის იდეურობის საცილობელი საკითხი და რომაელი პოეტის ლექსწყობის სპეციფიკური მხარეები (ჰექსამეტრის სოლცარი სიმსუბუქე საჭირო შემთხვევებში, მოქნილი ალიტერაცია, ცეზურა და სხვ.).

დოც. ნ. კეჭაღმაძემ სხდომას წარმოუდგინა ოვიდიუსის თხზულებებიდან ამოკრებილი ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ეს ცნობები უპირატესად ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებას ეხება და ფრიად საინტერესო და ძვირფასი მასალაა საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის თვალსაზრისით. ცნობებს თან ახლდა მომხსენებლის მეცნიერული კომენტარები.

მეტად საყურადღებო აღმოჩნდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის — ლ. კანკავას მოხსენება. იგი მიეძღვნა ჰეროსა და ლეანდროზე არსებული ცნობილი ანტიკური თქმულების სათავეების რკვევისა და ოვიდიუსის პოეზიაში მისი ასახვის საკითხებს. მომხსენებელმა დაიმოწმა მრავალი მაგალითი კავკასიის ხალხთა შემოქმედებიდან (განსაკუთრებით ოსური ფოლკლორიდან) და დამაჯერებელი დასკვნებიც წარმოადგინა.

სხდომის დასასრულს პროფ. პ. ბერაძემ სანიმუშოდ წაიკითხა ოვიდიუსის „პირამუსისა და თისბეს" („მეტამორფოზებიდან") თოთხმეტმარცვლიანი ლექსით შესრულებული ქართული თარგმანი.

დოც. აკ. ურუშაძე

ჟურნალისტი სტუდენტები მოსკოვში

(დასასრული)

ჩვენს ტოლებს — V კურსელ ჟურნალისტებს ადვილად ვერ ვნახულობთ — მათ თავისუფალი დრო არა აქვთ — სადიპლომო შრომებზე მუშაობენ. ეს, ცოტა არ იყოს, საწყენია, სამაგიეროდ სხვა კურსის სტუდენტებს ვეცნობით. ძლიერ დაწყდა გული ალი სამსონიას, ჩვენს დაუცხრომელ მაგიდის ჩოგბურთელს. იგი კოლეგებს ეძებდა: მათთან შეჯიბრების მოწყობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ... მისმა გიგანტურმა აღნაგობამ შეაშფოთა ისინი და უარი სტკიცეს...

მთელი დღე მოვანდომეთ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ახალი შენობის დათვალიერებას ლენინის გორაზე.

ჩვენთან ერთად არიან, ახსნა-განმარტებებს გვაძლევენ და ყველაფერზე დაწვრილებით მოგვითხრობენ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საბჭოთა პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრის თანამშრომელი ბ. ბროდსკი და IV კურსის სტუდენტები — ვალოდია ნოვობატკო და ედიკ ეფიმოვი. გაუცნობელი აქ თითქმის არაფერი დაგვრჩა: ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები, კლუბი, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზები, მუზეუმები.

სხვათაშორის, ჩვენი ყოფნის დროს უნივერსიტეტს ეწვია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ამხანაგების ანტონ იუგოვისა და ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით. დამხვდურთა შორის ჩვენი ტაშის ხმაც ერია.

დაწვრილებით მოთხრობა ყველა იმის შესახებ, რაც მოსკოვში ვნახეთ და შევიძინეთ, ძნელია. ამიტომ მოკლედ: ვიყავით ლენინისა და სტალინის მავზოლეუმში, კრემლში, ლენინის მუზეუმში, სარევოლუციო მუზეუმში, საბჭოთა არმიის მუზეუმში, ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში, ტრეტიაკოვის გალერეაში; დიდ თეატრში მოვისმინეთ — „ბორის გოდუნოვი", მცირე თეატრში ვნახეთ „მაკბეტი" (სსრკ სახალხო არტისტების ცარევისა და გოგოლევას მონაწილეობით). სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში — „დუბროვსკი"; ვიყავით სტერეო და ფართოეკრანიან კინოთეატრებში.

სპორტის თბილისელმა თაყვანისმცემლებმა „ბალერშჩიკობა" შაიბიანი ჰოკეის თამაშშიც გამოვცადეთ. ორჯერ ვიყავით ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში: ვნახეთ საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრების თამაშები ჩეხოსლოვაკიელ და იაპონელ სპორტსმენებთან.

მოსკოვში ჩვენი ყოფნის დრო თანდათან მიიწურა... 21 თებერვალს საღამოთი დავტოვეთ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი, 24-ში კი ისევ მშობლიურ უნივერსიტეტში დავბრუნდით.

მ. ტოფია,

ზაალ ჩიკვილაძე — „ბურევესტნიკის" ჩემპიონი



აბა წრე, წრე გააღიდეთ, ლაუკარით — გაისმა ხოდამენში სარბიელთან შეკრებილ ხალხში ვიღაცის ომახიანი შეძახილი.

ახმეტელი წიქარაძე მეტოქეს დაეძებდა და თვალი იმ ჯმუხ, მავგვრემან, ატლეტური აგებულების ვაჟს დაადგა, რომელიც მორცხვად მიყრდნობოდა მოაჯირს.

არ შეარცხვინო ზაალ, ჩაბინააანი, შენი სოფელი, — შეუძახეს თანასოფლელებმა.

მოგიკვდეს გამშვები — გაიფიქრა გულში და წრეში ვეუხეივით შევარდა. ახმაურდა ზურნა, შემოკრეს დოლს, მაგრამ ტკბილი ქართული მელოდია არც კი იყო დამთავრებული, რომ ზაალმა მოწინააღმდეგეს ნახერხი დააკრა ზურგზე.

გამარჯვებას ულოცავდნენ. მაგრამ ამ გამარჯვებით ყველაზე მეტად გოგა გოგაური იყო აღტაცებული. „ნადავლი" ხელთ ჰყავს.

— ზვალ სკოლაში ჩემთან მოდიო — უთხრა ფიზკულტურის მასწავლებელმა ზაალს.

არაჩვეულებრივ ღონესა და აგებულებას დახვეწა ესაჭიროებოდა. ზაალიც დარწმუნდა თავის მონაცემებში და ყოველდღიურ წვრთნას შეუდგა გოგას ხელმძღვანელობით.

შეჯიბრების დღემაც მოაღანა. 1953 წელს ახმეტაში რაიონულ პირველობაზე ტარდებოდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. სანერვიულო ბევრია. შეჯიბრე-

ბაში ძლიერი მეტოქენი იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქიბროწაშვილიც იყო. ყველა მოწინააღმდეგე დამარცხდა. ახლა ჯერი ქიბროწაშვილზე მიდგა. ძნელი იყო მისთვის, მაგრამ რა ექნა, იგიც დამარცხდა ზაალ ჩიკვილაძესთან. იმავე წელს ზაალი ქვემძიმე წონაში ჯერ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის", შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონი ხდება.

* * *

ვინც უნივერსიტეტის პირველობას დაესწრებია 1954 წელს ქართულ ჭიდაობაში, ალბათ დღესაც ახსოვს იქ მიღებული შთაბეჭდილებები. ხოლო ამ შთაბეჭდილებათა წრეში ზაალ ჩიკვილაძისა და ბ. თედეევის შეხვედრას ყერავინ დაივიწყებს. გამოცდილი ბ. თედეევი ცდილობდა, როგორმე თავი დაეღწია ჩიქვილაძის აგრესიული შეტევისაგან. იერიში იერიშს მისდევდა. მართლაც ორი ღირსეული მეტოქე იდგა ერთმანეთის წინაშე. მაგრამ ზაალის ყოველი შეტევა ქულებით მთავრდებოდა. ბითუს მოელეარება დაეტყო, მაგრამ რას იზამ?! იგი იძულებული გახდა ზაალისათვის დაეთმო პირველობა. მომდევნო წელს ზაალი კვლავ საქართველოს ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს. 1955 წელს კი თბილისის ჩემპიონია.

ზაალი სამბოშიც თანდათან დავაჟკაცდა. ენერგიული წვრთნის შედეგად 1956 წელს ჭიდაობის ამ სახეშიც საქართველოს ჩემპიონი გახდა.

კიდევ უფრო დიდი წარმატებები მოიპოვა ზაალმა საკავშირო შეჯიბრებებზე. 1956 წელს იგი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია სამბოში. თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა მან საკავშირო პირველობაზეც. მას ბრძოლა მოუხდა საბჭოთა კავშირის პირველობის პრიზიორებთან: სპორტის ოსტატებთან — ბრატკოსთან, შაპოშნიკოვთან და სინჯიკაშვილთან. ამ შეჯიბრებაზე მან 11 ადგილი აიღო.

1957 წელი. ქ. მოსკოვი. აქ ტარდება შეჯიბრება სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ქართველ მოჭიდავეთა გუნდში ჩიკვილაძეც არის. მონაწილეთა შემადგენლობა მძიმე წონაში ძლიერია. ფინალამდე დაუმარცხებლად მიდიოდნენ თბილისელი ჩიკვილაძე, დაღესტნელი ასიატინოვი და ჩრდილოეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი მარზაგანოვი, რომელმაც ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო. უძლიერესი მათ შორის ხალიჩაზე უნდა გამოვლინებულიყო. სერიოზული მოწინააღმდეგეები ზაალმა დიდი უპირატესობით დაამარცხა. ახლა უკვე ზაალი ჭიდაობის სამ სახეში ჩემპიონი. იგი „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრია სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

ჰ. ბურბუნიძე

სურათებზე: ზემოთ — ზ. ჩიკვილაძე დაღესტნელ მოჭიდავე ასიატინოვთან შეხვედრაში; ქვემოთ — მსაჯთა კოლეგია „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობას ულოცავს ზ. ჩიკვილაძეს.

წიგნის განხილვა

9 მარტს ისტორიის ფაკულტეტის ძველი მსოფლიოს ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ჩაატარა საინტერესო ღონისძიება: განხილულ იქნა ლ. სანიკიძის პოპულარული საკითხავი წიგნი — „პონტოს სამეფო".

განხილვაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა დოც. ნ. ლომოური. მომხსენებელმა წიგნის დადებით მხარეებთან ერთად საინტერესო შენიშვნებიც გამოთქვა. წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს IV კურსის სტუდენტებმა მ. ბეჭაიამ და თ. სანიკიძემ, უფროსმა მასწავლებელმა ლ. ლორთქიფანიძემ.

დასასრულს, სიტყვით გამოვიდა ავტორი, რომელმაც ძირითადად მიიღო შენიშვნები და მადლობა გადაუხადა აუდიტორიას ამ ღონისძიების ჩატარებისათვის.

დ. ნოზაძე.
ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

დახედეთ ერთი ამ სურათს. მოგწონთ?.. არა?.. ეს სრულებითაც არ ნიშნავს არაფერს. ამ ჟურნალ-გაზეთების ფარდულის მნიშვნელობა თქვენ არ იცით, თორემ უდავოდ მოგეწონებოდათ.

ეს ფარდული ერთ-ერთი შესანიშნავი სიძველის ძეგლი გახლავთ, რომელიც სტუდქალაქში უპოვნიათ „არქეოლოგიური" გათხრების დროს.

ახლა ყური მოვკარით, თითქოს განზრახული აქვთ ახალი ექსპონატები შეაგროვონ და სტუდქალაქში სადუძველი ჩაუყარონ ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნასო. მაგრამ ის ერჩივნათ, რომ ამ საქმისათვის თავი დაენებებინათ და სტუდქალაქის ტერიტორიაზე ერთი კარგი გაზეთების ფარდული დაედგათ, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ახალი გაზეთების ყოველდღიურად შეძენისა.

ტექსტი და ფოტო
რ. ერისთავისა



რედაქტორი ც. ვიშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 2000. უე 00914.